



MONDAY, SEPTEMBER 12, 2011

ნამახვანის ენერგოპროექტი რეგიონს რისკის ქვეშ აქცევს

საქართველოს მთავრობა კომუნისტების გრანდიოზულ ენეგეტიკულ იდეებს უბრუნდება. დასავლეთ საქართველო - ტვიში-ნამახვანი-ქონეთი, ეს ის მონაკვეთია, სადაც 2011 წლის მიწურულს მდინარე რიონზე თურქულ-კორეული ინვესტიციებით ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის დაწყება იგეგმება. მაშინ, როდესაც მოსახლეობის ინტერესები ამ დრომდე მთავრობისა და ინვესტორების ყურადღების მიღმა რჩება.

გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის რეგიონში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას და კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს სეისმურად არამდგრად ზონას.

72 წლის მერი იობიძე დაბადებიდან სოფელ მამაწმინდაში ცხოვრობს. მამაწმინდა ერთ-ერთი იმ სოფელია, რომელიც ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის შემთხვევაში მოსახლეობისგან უნდა დაივალოს, რადგან ჰესის მშენებლობას ტერიტორიის დატბორვა მოჰყვება. ცნობილია, რომ ჰესი სულ 14 სოფელს დააზარალებს, რის გამოც 800 ადამიანს გაასახლებენ.

„ბევრი მაქვს თუ ცოტა, წლების მანძილზე ჩემი ხელით მოწყობილი ეზო და სახლი მაქვს. არ მინდა აქედან წასვლა. რომ გადაგვასახლონ, რაღას მოვესწრები, ნეტა ვერ გააკეთებდნენ“ - ამბობს მერი იობიძე.

ააშენე, მართე, მიიღე მფლობელობაში

ტვიში - ნამახვანი - ქონეთის მონაკვეთში (ლეჩხუმის ტერიტორიაზე) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1930-იანი წლებიდან მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები გაცილებით მცირე მოცულობის ჰესის ასაშენებლად. ამ პროექტის განახლების მცდელობები იყო 1960-იან და 1980-იან წლებში. თუმცა, ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ უარი ეთქვა მის განხორციელებას. ბოლოს კაშხლის იდეა დღის წესრიგიდან 1990-იანი წლების დასაწყისში მოიხსნა.

20-წლიანი ინტერვალის შემდეგ, ენერგოპროექტზე საუბარი 2008 წლიდან განახლდა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ენერგოპოტენციალი მსხვილი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გადაწყვიტა. შემუშავდა „გრიდილი“ (ნულოვანი, ანუ სიმბოლური ინვესტიცია) ინვესტიციების საშუალებით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მოთხოვნები, შემდეგი პრინციპით - ააშენე, მართე, მიიღე მფლობელობაში ~BOO: Build-Operate-Own '8

ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის მშენებლობა „ჰიდროენერგეტიკაში განხორციელებული „გრიდილი“ ინვესტიციების“ პროექტის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა იმ 80 მცირე და საშუალო პოტენციური სადგურის ნუსხა, რომელთა აშენებასაც სახელმწიფო ინვესტორებს სთავაზობდა. დაინტერესების შესაბამისად, სამი მასშტაბური ენერგოპროექტი: ხუდონის ჰესი და ონისა და ნამახვანის ჰესების კასკადი კვლავ განხილვის საგანი გახდა. შედგა კონკრეტული შეთანხმებებიც.

ნამახვანის კასკადის (სამი 450 მეგავატიანი ჰესის) მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასა და Nurol Energy Production and Marketing Inc-ს (თურქული კომპანია), Korea Electric Power Corporation-ც (კორეული კომპანია) და SK Engineering and Construction Co, Ltd-ც (კორეული კომპანია) შორის მემორანდუმი 2009 წლის ბოლოს გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა, KEPCO-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჰურ კონგ-გომომ, SK-ს ვიცე პრეზიდენტმა სეო სეოკ-ჯემ და Nurol Holding-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჰუსნო დოგანმა. შეთანხმების თანახმად, კონსორციუმი კასკადის მშენებლობას 2011 წლის მეორე ნახევარში დაიწყებს და ექვს წელიწადში დაასრულებს. დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობა ერთ მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. კასკადის წლიური გამოიმუშავება 1,5 მილიარდ კვ/სთ იქნება.

დღესათვის არსებული ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პროექტი წარმოადგენს 800-იან წლებში შემუშავებულის ანალოგს. იგი სამი კასკადის აშენებას ითვალისწინებს: ტვიშის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეც 100 მეგავატია, ნამახვანის (250 მეგავატი) და ქონეთის (100 მეგავატი) და მოიცავს საქართველოს ორ რეგიონს: იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთს.

„ეს იძულებითი გადაადგილება“

ადგილობრივი მოსახლეობის აზრი ნამახვანის კასკადის მშენებლობის საკითხის გამო ორად არის გაყოფილი. მოსახლეობის უმეტესობას საცხოვრებელი ტერიტორიის დატოვება არ სურს. ნაწილი კი ფიქრობს, რომ მათთვის მისაღები კომპენსაციის შემთხვევაში, განსახლებას დასთანხმდებიან.

„მთლიანად სოფელი აყრის ზონაშია. ასეთივე მდგომარეობაშია სხვა სოფლებში. გვაქვს ინფორმაცია, რომ სოფელ მამაწმინდაში სასაფლაოს აყრასაც აპირებენ. ჩვენ არავინ არაფერს გვეუბნება. უცნობია, რას გვიპირებენ, ამბობენ 20 000 - 25 000 დოლარამდე მოგვემენ სახლის ნაცვლადო. ზოგი იმასაც ამბობს, შეიძლება ამდენიც არ მოგცენ და მაინც მოგიწევთ სახლების დატოვება და გადასახლებაო. ჩვენ რომ არ გვინდოდეს, წინააღმდეგი მაინც ვერ წავალთ. იმედია, შეგვირჩევენ ადგილს, რომელიც იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი. გაჭირვებული ხალხია, სამუშაო არავის აქვს, მოსახლეობის დაინტერესებაც ის არის, მისცენ ორი კაპიკი,“ - ამბობს სოფელ ქონეთში მცხოვრები ელუჯა ბობოხიძე.

PAGES

Home
სტუდე

ABOUT



ახალ

Georgia
Newspa

View my

FOLLOW

with Go

Membe



Already

მერაბ კონწურაშვილის სახლი სოფელ ჟონეთში მდინარე რიონთან ნახევარი მეტრითაა დაშორებული. ამბობს, რომ თუკი კომპენსაციის ოდენობა მათთვის მისაღები არ იქნება, მშობლიურ სახლს არ დატოვებენ.

„სოფელი სოფლად აღარ ვარგა, დატბორილია ყველაფერი, ველოდებით ჰესის მშენებლობის დაწყებას. არც ის იწყება და ჩვენც ვერ ვაკეთებთ. სახლი ჩამონგრეულია, მიწები გამხმარია, სახლის გაკეთება გვინდა და ვერ ვაკეთებთ, შეიძლება უცებ დაგვინგრიონ ყველაფერი. გვეუბნებიან: „ხვალ დაიწყება, ზეგ დაიწყება“ და ამდენი ხანია, არავინ არაფერს აკეთებს. ჩვენ სოფელში ვისაც სახლები დანგრეული ქონდა, 10 000 დოლარი მისცეს კომპენსაცია. 10 000 დოლარი რა არის? საქონლის სადგომს ვერ ააშენებ და იმით რა უნდა გააკეთო? ანაზღაურება ყოველ ხეზე და ვენახზე იქნებაო, თუ არ მოგვემენ, არავინ არ წავა სოფლიდან. ოფიციალურად ამ დრომდე არავინ არ მოსულა ჩვენამდე,“ - ამბობს მერაბ კონწურაშვილი.

„პარგად თუ ცუდად, ხალხი ცხოვრობს აქ. უმეტესობას არ უნდა რომ წავიდეს. მაგრამ ჯერ არაფერი ვიცით, რა და როგორ მოხდება. ერთი წლის წინ იყვნენ ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლები მოსულნი, აღწერა ჩაატარეს. მაშინ კომპენსაციაზე საუბარიც არ ყოფილა. თუკი გაგვასახლებენ, უნდა გაითვალისწინონ, ვინ როგორ ცხოვრობს. თითოეული ხის ფასი უნდა აანაზღაურონ. ეს ხომ სტიქიური უბედურება არ არის. ეს იძულებითი გადაადგილება,“ - ამბობს სოფელ მამაწმინდამი მცხოვრები ელგუჯა იობიძე.

დაახლოებით ერთი წლის წინ ადგილობრივი მოსახლეობის აღწერისა და მათი ტერიტორიის დათვალიერების შედეგები ინვესტორი კომპანიების წარმომადგენლებმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ასახეს. თუმცა, 1000-გვერდიან დოკუმენტში არსებულ სამოქმედო გეგმაში ადგილობრივი მოსახლეობის განსახლებისა და კომპენსაციის საკითხები მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. დეტალები სოფლის მცხოვრებლებისთვის არც ანგარიშის საჯარო განხილვების დროს განუმარტავთ. ბოლოს, მიმდინარე წლის 10 ივნისს, ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციაში ჩატარებულ შეხვედრაზე (რომელსაც ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლებს გარდა, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ) მოწვეულ მოსახლეობას მხოლოდ იმის მოსმენა მოუხდათ, თუ რა გავლენა იქნება ჰესის მშენებლობას ეკოლოგიასა და ზუნებრივ პირობებზე.

გიგანტური ენერგოპროექტი vs მოსახლეობის ინტერესები

„საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების მონიტორინგის პროგრამების“ კოორდინატორი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი, აღნიშნავს, რომ უკვე უნდა არსებობდეს განსახლების სამოქმედო გეგმა, სადაც იქნებოდა მოცემული ის მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდება კომპენსაცია: „სამწუხაროდ, ეს გეგმა არ არსებობს დღესდღეობით. არათუ ეს დოკუმენტი, არამედ თვით ის სახელმძღვანელო პრინციპებიც არ არსებობს, რომლის მიხედვითაც ეს გეგმა უნდა შედგეს. შესაბამისად, უცნობია, თუ რა პრინციპებსა და სტანდარტებს დაემყარება მოსახლეობის იძულებითი გადასახლება - საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუ განსახლება და კომპენსაცია მოხდება საერთაშორისო სტანდარტების (ერგბ-სა და სსკ-ს წესების) მიხედვით,“ - ამბობს დავით ჭიპაშვილი.

Nuro Construction-ის გენერალური მენეჯერის თანაშემწის იუნეს ბაირაკარის განცხადებით, პროექტი სამი ეტაპისაგან შედგება. პირველი გულისხმობს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განხილვას. მეორე ეტაპი უკავშირდება შეხვედრებს, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებასა და განსახლების სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით. მესამე ეტაპი კი ითვალისწინებს დეტალურ დიზაინს, რომლის მიხედვითაც გამოჩნდება გზების ზუსტი განლაგება, განსახლებულ ადამიანთა რაოდენობა და მოსაჭრელი ხეების რიცხვი.

რაც შეეხება კომპენსაციის საკითხს, თუ რა კრიტერიუმები იქნება გამოყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ენერგეტის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ კრძო საკუთრების შემთხვევაში, კომპენსაცია გადახდილი იქნება საზაზრო ფასზე დაყრდნობით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის თქმით, აღნიშნული საკითხები ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია და დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

„პროექტის თანახმად, სულ 900 დროებითი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამასთან, რეგიონის არსებული დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით, მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასა იქნება არა რეგიონის მცხოვრებლები, არამედ დროებით ჩამოსული, რაც შესაბამისად, კიდევ უფრო ამცირებს რეგიონის განვითარების პერსპექტივებს. ამასთან, არსებული გამოცდილებით (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ფარავან-ჰესი და სხვ.), საქართველოს მოსახლეობა, ძირითადად, საქმდება არაკვალიფიცირებულ სამუშაოზე,“ - ასეთია „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები ნამახვანის პროექტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, რომელიც ორგანიზაციამ 14 ივნისს მოამზადა.

თუმცა, ადგილობრივ მცხოვრებლებს დაპირებული, თუნდაც „არაკვალიფიციური“ სამუშაოს იმედიც აღარ აქვთ. „ადგილობრივ მცხოვრებლად არ ითვლები შენ, თუკი ექვემდებარები განსახლებას. ამიტომ სამუშაოს ვერ მიიღებ,“ - ასეთი იყო პირდაპირი პასუხი ინვესტორისგან, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ 10 ივნისს, ქუთაისში გამართულ საჯარო შეხვედრაზე მიიღეს.

„საქართველოში, ხშირად, ისეთი მეგა-პროექტების დაგეგმვისას, როგორცაა ხუდონისა და ნამახვანის ჰესები, ის ადამიანები, ადგილობრივი თემები თუ სხვა მხარეები, რომლებიც პროექტების უშუალო ზეგავლენის ქვეშ ექვევებიან, როგორც წესი, საერთოდ არ არიან, ან სუსტად არიან ჩართულნი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. შედეგად, პროექტების უარყოფითი ზეგავლენა მათ ლეგიტიმურ ინტერესებზე ხშირად უგულვებელყოფილია,“ - ამბობს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსი, ქეთი გუჯარაიძე.

სწორედ ამ პრობლემების დასაძლევად დაიწყო „მწვანე ალტერნატივამ“ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა „ქუთაისის საინფორმაციო ცენტრმა“ (იმერეთი) და „მეოხი-2010“-მა (ზემო სვანეთი) ადვოკატირების კამპანია. „ჩვენ შევეცდებით, რომ შევავსოთ ეს ინფორმაციული ვაკუუმი და ხელმისაწვდომი გავხადოთ მოსახლეობისთვის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხელი შევეწყობთ მათ სრულფასოვან მონაწილეობას პროექტების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ასევე, ჩვენ გავწევთ მთელს ძალისხმევას იმისათვის, რომ პროექტების განმახორციელებელმა კომპანიებმა და გადაწყვეტილებათა მიმღებმა პირებმა, როგორც საქართველოს ხელისუფლებაში, ისე პოტენციურ დამფინანსებლებში (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში) გაითვალისწინონ და გადადგან ნაბიჯები პროექტებთან დაკავშირებული პრობლემური სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების მოსაგვარებლად,“ - აღნიშნავს გუჯარაიძე.